საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. თებერვლის 25. № 5 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

18. სახანძრო დაცვის წესების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

19. მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში ავტო-საჭაპანო ტრანსპორტსა და საქალაქო რკინიგზებზე მოხდარი ავარიებისა და მარცხების აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ.

20. საქართველოს სსრ მთიან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების ავტო-საჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ.

21. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

22. იმ ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ, რომელსაც კომუნალური ელექტროსადგურები და ელექტროქსელები აწვდიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის და შინსახკომის სანაპირო და შინაგანი დაცვის ჯარების ნაწილებსა და დაწესებულებებს.

23. ნუტრიაზე ნადირობის ნებართვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

057.44

18. სახანძრო დაცვის წესების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

სახანძრო დაცვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით და შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 10 აგვისტოს დადგენილებისა „სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების ადმინისტრატიული წესით ჩამორთმევის გაუქმების და სასამართლო წესის დადგენის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 102), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნილებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯარიმის დადებას 200 მანეთამდე.

ჯარიმა დაედება კონკრეტულ დამრღვევთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაედოს დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

2. ჯარიმა დაედება იმ პირებს, ოომლებმაც ჩაიდინეს შემდეგი დარღვევები:

ა) დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ ზომების მიუღებლობა მათთვის მინდობილი ობიექტების ხანძრის საჭირო საქრობ საშუალებებით, უზრუნველსაყოფად ამ საშუალებათა აღრიცხვის დასაყენებლად ცეცხლის მხრივ საშიშ ადგილებში პაპიროსის მოსაწევი სპეციალური ადგილების გამოსაყოფად აგრეთვე ზომების მიუღებლობა სახანძრო წესებისა და სათანადო წარწერების გამოსაკრავად ხანძრის მხრივ განსაკუთრებით საშიშ ადგილებში;

ბ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ნებადაურთველად სახანძრო იარაღ-მოწყობილობის და ინვენტარის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, აგრეთვე მისი დაუდევრად და უწესივროდ შენახვა (პლომბების გაფუჭება და ჩამოგლეჯა, იარაღების თვითნებურად გადატანა, სახანძრო მოწყობილობასთან მისასვლელების დახერგვა), გასასვლელების დახერგვა;

გ) ელექტროაპარატურის და ელექტროგაყვანილობის დაუდევრად შენახვა, მავთულის კონების თვითნებურად გამოყენება ქარხნული მცველების ნაცვლად, ელექტროგაყვანილობის და ძალოვანი დანადგარების მოწყობის ტექნიკური წესების დარღვევა, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტისას ელექტროძრავების გამოუთველად დატოვება;

დ) დროებითი ციფრული მინაშენების, ტიხრების, საკუჭნაოების და სხვა თვითნებურად მოწყობა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობასთან წინასწარ შეუთანხმებლად;

ე) ცეცხლის სამუშაოების წარმოება, ცეცხლის დანთება და პაპიროსის მოწევა აკრძალულ ადგილებში;

ვ) ხანძრის გაჩენის შესახებ ცნობის მიუწოდებლობა ან მიწოდება არათავის დროზე იმ პირთა მიერ, რომლებსაც ეს მოვალეობა დაკისრებული აქვთ შინაგანი განაწესით სავალდებულო დადგენილებებით და ა. შ.;

ზ) გამობობ მოწყობილობის თვითნებურად დადგმა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ნებადაურთველად და მისი არასათანადოდ და უწესივროდ შენახვა;

თ) სხვენების, სარდაფების, კიბეების, გასასვლელების, და სხვა ამგვარ სადგომების დახერკვა და დანაგვიანება;

ი) სამშენებლო პროექტების განხორციელება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან შეუთანხმებლად;

კ) წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ დაშვება სახანძრო წესებთან წინასწარ გაცნობის გარეშე;

ლ) ობიექტის სახანძრო დაცვის ხელმძღვანელად ან უფროსად ვისიმე დაშვება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის შეუტყობინებლად;

მ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების იმ მოთხოვნების შეუსრულებლობა, რომლებიც გაფორმებულია აქტებით, სპეციალური მოწერილობებით ან საკონტროლო სახანძრო წიგნებში ჩანაწერებით.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ დარღვევათა ჩადენა, უკეთუ იგი შეიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს, გამოიწვევს ჯარიმის გადახდევინების ნაცვლად, დამნაშავეთა მიცემას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

4. ჯარიმების დადების უფლება მათი ოდენობის განსაზღვრით მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის გაყოფილების ინსპექტორთა მთელ შემადგენლობას, აჭარის და აფხაზეთის ასსრ შინსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შინსახკომის სამმართველოს სახანძრო დაცვის უფროს ინსპექტორებს, აგრეთვე ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის სახანძრო დაცვის უფროსებისა და მათ მოადგილეებს.

ჯარიმების დადების უფლება, მაგრამ მათი ოდენობის განუსაზღვრელად, მინიჭებული აქვს ყველა რაიონულ სახანძრო ინსპექტორს, სახანძრო რაზმების უფროსებს და შინსახკომის ინსპექტორთა შემადგენლობას, ამასთან ჯარიმების ოდენობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს და დაამტკიცებს შინსახკომის სათანადო რაიგანყოფილების ან საქალაქო განყოფილების უფროსი ანდა ქ. თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და სუხუმის საქალაქო სახანძრო დაცვის უფროსი.

5. ისეთ დარღვევაზე, რომელიც ჯარიმის დადებას იწვევს, სდგება ოქმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაჯარიმებულ პირს ოქმის ასლის ჩაბარების მომენტიდან სამი დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს ჯარიმის დადება.

საჩივრები შეიტანება საქართველოს სსრ შინსახკომის ადგილობრივ ორგანოებში ან საქ. სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის განყოფილებაში.

7. დაჯარიმებული პირი ჯარიმას შეიტანს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალში დარღვევის ადგილის ან დაჯარიმებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ათი დღის განმავლობაში იმ დღიდან როდესაც მას გამოეცხადა დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ.

8. უკეთუ დაჯარიმებულმა პირმა ამ დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ წარმოადგინა ქვითარი ჯარიმის შეტანის შესახებ, ჯარიმის გადახდევინება მოხდება იძულებითი წესით და განხორციელდება დაჯარიმებული პირის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის გზით იმ წესის დაცვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით „სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების ადმინისტრატიული წესით ჩამორთმევის გაუქმების და სასამართლო წესის დადგენის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 102).

9. ჯარიმების დადება უწყებრივი სახანძრო დაცვის ხაზით ხდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 7 ივლისის დადგენილებაში „შენობებისა და სადგომების საერთო და ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის წესების და სასამსახურო დოკუმენტების შენახვის წესების დარღვევისათვის დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანოების სამმართველო აპარატის მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრკ. კან. კრ. 1932 წ. № 53, მუხ. 319).

10. ამ დადგენილების გამოცემისთანავე უქმდება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 26 ნოემბრის დადგენილება „სახანძრო წესების დარღვევისათვის ჯარიმების დადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 34, მუხ. 216).

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. თებერვლის 17. № 148/246.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
057.41

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

19. მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში ავტოსაჭაპანო ტრანსპორტსა და ხაქალაქო რკინიგზებზე მომხდარი ავარიებისა და მარცხების აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ.

ავტოსაჭაპანო ტრანსპორტსა და საქალაქო რკინიგზებზე მომხდარი ავარიებისა და მარცხების აღრიცხვის დაქსაქსულობის გამო, რაც ხელს უშლის მათი გამომწვევი მიზეზების სისტემატურად გამოვლინებასა და შესწავლას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ავტო-საჭაპანო ტრანსპორტსა და საქალაქო რკინიგზებზე მომხდარი ავარიებისა და მარცხების აღრიცხვა დაეკისროს მუშურგლეხური მილიციის ორგანოებს.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ცალკეულ მეპატრონეებს ყოველგვარი ავარიებისა და მარცხების შესახებ, რაც მათ ტრანსპორტს შეემთხვევა, აცნობონ მუშურ-გლეხური მილიციის ადგილობრივ ორგანოებს არაუგვიანეს 24 საათისა ავარიის ან მარცხის შემთხვევის მომენტიდან.

3. დაევალოს ყველა სამკურნალო დაწესებულებას, აფთიაქებსა და ცალკეულ ექიმებს 24 საათის განმავლობაში მიაწოდონ მუშურ-გლეხული მილიციის ადგილობრივ ორგანოებს ცნობები ყველა იმ პირთა შესახებ, რომლებიც მათ მიმართავენ სამედიცინო დახმარებისათვის მოძრავი ტრანსპორტის მიერ მათთვის მიყენებული ჭრილობებისა და დაზიანების გამო.

4. დაევალოს ყველა მორგსა და ქსენონებს იმავე ვადაში მიაწოდონ მუშურ-გლეხური მილიციის ადგილობრივ ორგანოებს ცნობები მათთან მიტანილ იმ პირთა შესახებ, რომლებიც მოკლულია მოძრავი ტრანსპორტის მიერ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს ერთი თვის ვადაში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშაოს აღრიცხვის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მარცხებისა და ავარიების ამომწურავ და ზუსტ სტატისტიკას.

6. მიენიჭოს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფლება დაადოს ჯარიმები ამ დადგენილების მე-2, 3, 4 მუხლების დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით არაუმეტეს 100 მანეთისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. თებერვლის 8. № 163.
ტბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ რაიონების დასახელება	ფასდაკლება გადაზიდვის დროს			
	ავტოთი	ფურგონებით	ურმებით	საპალნეებით
აფხაზეთის ასსრ რაიონები				
გალის	1—65	3—40	—	10—00
გაგრის	—	—	—	—
გუდაუთის	—	—	—	—
ოჩემჩირის	—	—	—	—
სოხუმის	—	—	—	—
აჭარის ასსრ რაიონები				
ქედის	1—80	3—40	—	—
ხულოს	1—80	3—40	—	—
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის რაიონები				
სტალინირის	1—65	3—40	—	—
ჯავის	1—80	3—40	5—00	10—00
ზნაურის	1—65	3—40	—	—
ლენინგორის	1—80	3—40	5—00	10—00
საკურორტო ადგილები				
ბახმარო (ჩოხატაურის რაიონი)	—	—	—	10—00
საირმე (ბაღდათის რ.)	—	—	—	10—00
ლებარდე (გეგეჭკორის რ.)	—	—	—	10—00
გომის მთა (მახარაძის რ.)	—	—	—	10—00

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 17 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ მთიან რაიონებში პურეულის პროდუქტების ავტო-საჭაპანო გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ მონაკლების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 25, მუხ. 145).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. თებერვლის 8. № 173.
თბილისი.

21. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 176.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. საერთო დებულებანი.

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი არსებობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50, 52, 56 და 58 მუხლების საფუძველზე და მოქმედებს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა საერთო დებულების და ამ დებულების საფუძველზე.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის ხელმძღვანელობა, რეგულირება, დაგეგმვა და აღრიცხვა და იმ საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მართვა-გამგეობა, რომლებიც უშუალოდ მას ემორჩილებიან;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის ახალ წარმოებათა, ახალი მშენებლობის ორგანიზაციისა და რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობა;

გ) დაქვემდებარებული მრეწველობის მომარაგებისა და გასაღების ხელმძღვანელობა, ფასების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

დ) ადგილობრივი მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადების ორგანიზაცია.

II. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

3. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები იმ რაოდენობით, რასაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს.

4. სახალხო კომისარიატთან იქმნება საბჭო, რომელსაც მოიწვევს სახალხო კომისარი ორ თვეში ერთხელ; საბჭოს კომპეტენციაში შედის:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ამოცანებისა და პერსპექტივების განხილვა;

ბ) მთლიანად ადგილობრივ მრეწველობის და მისი ცალკეული დარგების გეგმებისა და მუშაობის ანგარიშების განხილვა;

გ) ადგილობრივი მრეწველობის სხვა პრინციპული და საერთო საკითხების განხილვა;

დ) იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მიერ არის შეტანილი საბჭოს განსახილველად.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი შესდგება შემდეგი მთავარი დარგობრივი სამმართველოებისა და ფუნქციონალური განყოფილებებისაგან.

I) **დარგობრივი მთავარი სამმართველოები:**

ა) მანქანათმშენებლობის მრეწველობისა „საქმთავმანქმრეწვი";

ბ) სამთამადნო მრეწველობისა „საქმთავმთამრეწვი";

გ) საშენ მასალათა მრეწველობისა „საქმთავსაშენმასალა";

დ) კულტ.-პოლიგრაფიული მრეწველობისა „საქმთავკულტპოლიგრაფმრეწვი".

II) **ფუნქციონალური განყოფილებანი:**

ა) საგეგმო-საფინანსო განყოფილება;

1) დაგეგმვის, 2) საფინანსო, 3) საბუხჰალტრო აღრიცხვის და 4) მატერიალური ბალანსების ჯგუფებით;

ბ) საალრიცხვო-სტატისტიკური განყოფილება;

გ) სასწავლებლებისა და კადრების მომზადების განყოფილება;

დ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება;

ე) სპეცგანყოფილება.

ამას გარდა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში არიან:

ა) ტექნიკური ექსპერტიზის ბიურო;

ბ) დოკუმენტალური რევიზიის ჯგუფი;

გ) მრეწველობის სახანძრო და სადარაჯო დაცვის ინსპექცია;

დ) არბიტრაჟი.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებობენ შემდეგი ტრესტები, რომლებიც მოქმედებენ სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებულ წესდებათა საფუძველზე;

ა) "საქტყემომარაგება";

ბ) „საქქარხმშენი";

გ) „საქსახპროექტი";

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კომპეტენციაში შედის:

I) მთავარი დარგობრივი სამმართველოების ხაზით:

ა) ადგილობრივი მრეწველობის დაქვემდებარებულ საწარმოთა მთელი საწარმოო და საფინანსო საქმიანობის ოპერატიული ხელმძღვანელობა და მმართველობა;

ბ) პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების შემუშავება, საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების განხილვა და დამტკიცება და ნაკრები გეგმების შედგენა;

გ) საწარმოთა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა, ტექნიკური დახმარება და ინსტრუქტაჟი, კერძოდ საწარმოო პროცესის ორგანიზაციის, მისი რაციონალიზაციისა და მექანიზაციის, წარმოების პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკის და მოწინავე საწარმოთა და სტახანოველთა გამოცდილების გამოყენების, პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების, შრომის ორგანიზაციის და ტექნიკური ნორმირების, ნედლეულის, სათბობის ენერგომეურნეობის ხარჯვის, და მოწყობილობის, მუშახელის და საინჟენერო-ტექნიკური პერსონალის სწორად გამოყენების საკითხებზე;

დ) ახალი სახის ნედლეულის, სათბობის, საშენი მასალების გამოძებნა და ახალ წარმოებათა ორგანიზაცია;

ე) ძირითადი და საბრუნავი სახსრების გამგებლობა და მანევრირება;

ვ) საწარმოთა მატერიალური მომარაგების ორგანიზაცია და მათი პროდუქციის გასაღება;

ზ) საპროექტო დავალებების, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესით იმ ობიექტებზე, რომლებიც არ არის შეტანილი მშენებლობის უფრო მნიშვნელოვანი ობიექტების განსაკუთრებულ სიებში, რომელთა მიხედვითაც ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო;

თ) გასაცემი ფასების შემუშავება რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ადგილობრივი მრეწველობის იმ სახის პროდუქციაზე, რომელზედაც არ არსებობს სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაწესებული ფასები, და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში;

ი) რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოებისა და ორგანოების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონული აღმასრუ-

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა და ქალაქთა საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა ანგარიშების განხილვა, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, იმ დარგების მიხედვით, რომელთა რეგულირება და დაგეგმვა ხდება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ;

კ) იმ საწარმოთა წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული, წლიური და საკვარტალო საკონტროლო ციფრების შემუშავება, რომლებიც ემორჩილებიან ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, იმ დარგების მიხედვით, რომელთა დაგეგმვა და რეგულირება ხდება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ;

ლ) სათანადო დარგის კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა და დამტკიცება რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ობიექტების მიხედვით, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესით;

მ) კაპიტალური მშენებლობისათვის დაწესებული საწარმოო დავალებების და გეგმების შესრულებას კონტროლი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებში, აგრეთვე სათანადო დარგის საწარმოებში, რომლებიც ექვემდებარებიან ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში;

ნ) კვალიფიციური მუშათა კადრების საჭიროების გამორკვევა, მათი მომზადების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კადრების აღრიცხვა.

II) ფუნქციონალურ განყოფილებათა მიხედვით.

I. დაგეგმვის ნაწილში:

ა) ადგილობრივი მრეწველობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალური რესპუბლიკური ნაკრები გეგმების შედგენა და დაგეგმარების საკითხების შემუშავება და ორგანიზაცია;

ბ) იმ საწარმოთა გეგმების განხილვა და მათზე დასკვნების მიცემა, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს იმ საწარმოოთა გეგმების განხილვა და მათზე დასკვნების მიცემა, რომლებიც ემორჩილებიან ასსრ ადგილობრივი მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, იმ დარგების მიხედვით, რომელთა დაგეგმვა და რეგულირება ხდება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ;

გ) მრეწველობის ნაკრები გეგმების წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის განსახილველად და დასამტკიცებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა დაამტკიცოს;

დ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რაციონალურად განაწილების საკითხების შემუშავება.

II. აღრიცხვის ნაწილში:

ა) აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება დაწესებული მეთოდითა და ფორმებით; ოპერატიული დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევა დარგობრივი სამმართველოებისათვის აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში; ინსტრუქციის შემუშავება ანგარიშგების ფორმების შევსების შესახებ და მისი გამოცემა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით;

ბ) დარგობრივი სამმართველოების მიერ წარმოდგენილი საანგარიშო მასალების გულმოდგინედ შემოწმება და მათ საფუძველზე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი მრეწველობის ნაკრები სტატისტიკური ანგარიშების და საკონიუნქტურო მიმოხილვების მუშაობის შედგენა; საწარმოო მაჩვენებლების შესრულების ანალიზი მიმოხილვების შედგენის და საკონიუნქტურო თათბირების მოწვევის საშუალებით;

გ) ადგილობრივი მრეწველობის გეგმების შესრულების ნაკრები ანგარიშების წარდგენა სათანადო ორგანოებისათვის (სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველო, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო) ამ უკანასკნელთა მიერ გათვალისწინებულ ვადებში.

III. კადრების მომზადებისა და სასწავლებლების მმართველობის ნაწილში:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშახელის და საშუალო ტექნიკური პერსონალის კადრების მომზადებისა და გადამზადების წლიური ოპერატიული გეგმების შედგენა;

ბ) სასწავლებლების ხელმძღვანელობა, მოსწავლეთა მიღების და გამოშვების კონტინგენტის დაწესება; სასწავლებლების შესანახად ადგილებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება; ანგარიშების შედგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსების, ტექმინიმუმის წრეების, საბავშვო ბაღების, სტაციონარული კურსებისა და სასწავლებლების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, აგრეთვე მათი დაფინანსება;

დ) დაქვემდებარებულ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კადრების აღრიცხვა და განაწილება.

IV. მომარაგების ნაწილში:

ა) ნაკრები განაცხადების შედგენა საფონდო მასალებზე სახალხო კომისარიატის ხაზით და მათი წარდგენა სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის;

ბ) სახალხო კომისარიატის ხაზით გამოყოფილი ნედლეულის, მოწყობილობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დანარჩენი საგნების ფონდების, ლიმიტების განაწილება და ჩაშვება, თვალყურის დევნება მათი რეალიზაციისათვის;

გ) გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის შესახებ ანგარიშის წარდგენა სახელმწიფო საგეგმო კომისიაში;

დ) როგორც გეგმიანი, ისე დეცენტრალიზაციის წესით დამზადებული ხე-ტყის შემოტანა საქართველოში საწარმოო და სამშენებლო საჭიროებისათვის.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი დარგობრივი სამმართველოები და განყოფილებები ყველა თავის წინადადებასა და ღონისძიებებს იმ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაგეგმვისა და რეგულირებისათვის, რომელიც ემორჩილება იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას, აუცილებლად ანხორციელებენ ამ მრეწველობის ორგანოების მეშვეობით.

642
075

22. იმ ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ, რომელსაც კომუნალური ელექტროსადგურები და ელექტროქსელები აწვდიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის და შინსახკომის სანაპირო და შინაგანი დაცვის ჯარების ნაწილებსა და დაწესებულებებს.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 14 მაისის დადგენილებისა „კომუნალური სადგურების და კომუნალური ელექტროქსელების ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 36 მუხ. 147), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს იმ ელექტროენერგიის ანაზღაურების შემდეგი წესი, რომელსაც კომუნალური სადგურები და კომუნალური ელექტროქსელები აწვდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშურ-გლეხური არმიის და შინსახკომის სანაპირო და შინაგანი დაცვის ჯარების ნაწილებსა და დაწესებულებებს:

1. განათებისათვის მიწოდებული ელექტრო ენერგიაზე წესდება ერთგანაკვეთიანი ტარიფი, რომელიც მომხმარებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობის საფუძველზე:

ა) მეთაურთა და უფროსი შემადგენლობის ბინები, აგრეთვე საბავშვო ბაღებისა და ბაგების სადგომები . . მშრომელთა სატარიფო განაკვეთის 100%.

ბ) ჯარის ნაწილები (შტაბები, ყაზარმები და ჯარის ნაწილებს ყველა შენობა და სადგომები: სამზარეულოები, სასადილოები, კლუბები, აბანოები, სამრეცხაოები, სამედიცინო დახმარების პუნქტები, პურის საცხობები, თავლები, გარაჟები, საწყობები, სახელოსნოები, ტირები, საყარაულო სადგომები და სხვ.), აგრეთვე აეროდროომები ყველა სააეროდროომო შენობებითა და ნაგებობებით . . . . . მშრომელთა სატარიფო განაკვეთის 80%.

გ) ჯარის შენაერთთა შტატები, სამმართველოები, სამხედრო დაწესებულებები, სამხედრო აკადემიები, სამხედრო სასწავლებლები, წითელი არმიის სახლები და საგარნიზონო კლუბები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ჰოსპიტლები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სამხედრო საწყობები, საგარნიზონო პურის საცხობები, აბანოები, სამრეცხაოები, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სასადილოები (დახურული), სამხედრო გარაჟები, აგრეთვე ყველა შენობა და დამხმარე სადგომები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ დაწესებულებებს . . მშრომელთა სატარიფო განაკვეთის 150%.

2. კომუნალურმა ელექტროქსელებმა, რომლებიც მხოლოდ ანაწილებენ რაიონული ელექტროსადგურებისაგან საბითუმო ტარიფის განაკვეთებით შესყიდულ ელექტროენერგიას, უნდა მიაწოდონ ელექტროენერგია სამრეწველო და განათების მიზნებისათვის რაიონული ელექტროსადგურების იმ სატარიფო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც მოცემულ რაიონში მოქმედებენ.

3. ეზოების გასანათებლად საჭირო ელექტროენერგია ანაზღაურებულ უნდა იქნას მომხმარებელთა სათანადო ჯგუფისათვის დაწესებული განათების ტარიფით, რაც განსაზღვრულია ამ დადგენილების 1 მუხ. თანახმად.

4. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება სამხვაჭრობებსა და მათს საწარმოო-დამხმარე საწარმოებზე, რომლებიც ელექტროენერგიის საფასურს იხდიან სავაჭრო-საწარმოთა ტარიფების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამ დადგენილების გამოცემისთანავე უქმდება საქართველოს სსრ სახალხო
ხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 21 აპრილის დადგენილება № 505 „კავკასიის წითელდროშოვანი არმიისა და ა/კ სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ნაწილებისათვის კომუნალური მომსახურეობის ტარიფების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ტარიფებს ელექტროენერგიით სარგებლობისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 182.
თბილისი.

362

23. ნუტრიაზე ნადირობის ნებადართვის შესახებ.

იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გამრავლდა 1932 წელს კოლხიდის ჭაობებში აკლიმატიზაციის მიზნით გაშვებული სამხრეთ-ამერიკის ბეწვიანი ნადირი ნუტრია და შესაძლებელია მისი სამრეწველო ექსპლოატაცია, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირს „—მონკავშირს“ მისი ფოთის ფილიალის—მონადირეთა ფოთის ამხანაგობის სახით აწარმოოს მოზრდილი ნუტრიების სამრეწველო ხოცვა კოლხიდის აუზებში იქ ვადებში, იმ რაოდენობითა და იმ რაიონებში, რომლებსაც საქართველოს სსრ მიწსახკომი დააწესებს.

2. ნუტრიის დამზადებული ტყავების მიღება მონადირეებისაგან და მათი ჩაბარება ა. კ. „ზაგოტპუშნინასთვის“ მოხდეს თანახმად დაწესებული სტანდარტებისა და შეფასებებისა.

3. ნუტრიის ტყავის დასამზადებელი ფასი დაწესდეს ორმოცდა ათი (50) მანეთი პიოველ ხარისხის ტყავში.

4. დაევალოს საქართველოს მონადირეთა კავშირს „მონკავშირს“ და საქ. სსრ მიწსახკომს ნუტრიაზე ნადირობის მთელი დროის განმავლობაში, ამ დადგენილების თანახმად, თვალყური ადევნოს ნადირობას და აღრიცხოს მოკლული მხეცის რაოდენობა.

5. დაევალოს საქართველოს მონადირეთა კავშირს „მონკავშირს“ ჩაატაროს ნუტრის სულადობის ყოველწლიური სავარაუდო აღრიცხვა დასავლეთ საქართველოში ნუტრიაზე ნადირობის გეგმის გამოსარკვევად, ამასთან ნუტრიაზე ნადირობის ეს გეგმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. თებერვლის 8. № 189.
თბილისი.

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი $\frac{\text{საქ. სსრ ს. კ. ს-ოს}}{\text{საქმ. მმართველობა}}$ 1938 წ. № 9. პ/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 3/III, ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № 2927 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 259